დამტკიცებულია კანცლერის
2022 წლის 11 ოქტომბრის #01-116 ბრძანებით

სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის წესი

სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმები

მუხლი 1. სტუდენტთა საერთო რაოდენობის განსაზღვრის მექანიზმები

1. სტუდენტთა საერთო რაოდენობის განსაზღვრა გულისხმობს უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა მაქსიმალური ტევადობის დადგენას, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისთვის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას და რომლის ფარგლებშიც უფლებამოსილია გამოაცხადოს კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა.
2. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი მეთოდოლოგია მოიცავს შემდეგ ძირითად ასპექტებს:
   ა) უნივერსიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული სასწავლო და დამხმარე ფართის საერთო რაოდენობა;
   ბ) აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
   გ) აუდიტორიებში დასაჯდომი ადგილების რაოდენობა;
   დ) პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრაქტიკის და კლინიკური სწავლების ობიექტების გამტარუნარიანობა;
   ე) საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალურობა და შრომის ბაზრის მოთხოვნები.
3. აღნიშნული წესის თანახმად, ერთ ცვლაში სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს (F-ის) საერთო ფართის (სასწავლო და დამხმარე ფართის ერთობლიობა) მეოთხედს. ერთ სტუდენტზე, ერთ ცვლაში სწავლებისთვის განისაზღვრება მინიმუმ 4 $მ^{2.}$, შესაბამისად, ორ ცვლაში მუშაობის შემთხვევაში, ერთ სტუდენტზე უნდა მოდიოდეს მინიმუმ 2 $მ^{2.}$;

<u>**ფორმულა:** სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ≤ (F/4)*2 = F/2.</u>

4. აკადემიური პერსონალის შეფარდება სტუდენტთა რაოდენობასთან განისაზღვრება შემდეგნაირად:
   - აკადემიური პერსონალის რაოდენობა (X) გამრავლებული 50-ზე (სტუდენტების რაოდენობაზე);

<u>**ფორმულა:** სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ≤ (X×50)</u>

5. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ≤ აუდიტორიებში დასაჯდომი ადგილების რაოდენობის (S-ის) ნამრავლი <u>სასწავლო ცვლების რაოდენობაზე - ორზე.</u>

<u>**ფორმულა:** სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ≤ (S × 2)</u>

6. ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული ფორმულის მიხედვით ცალ-ცალკე ხდება სამივე ასპექტით გათვალისწინებული ლიმიტების დაანგარიშება და სტუდენტთა კონტიგენტის შესაძლო ზღვრულ რაოდენობად განისაზღვრება მიღებულ შედეგებს შორის უმცირესი.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის განსაზღვრა

1. ყოველი სასწავლო წლისთვის უნვერსიტეტი ახორციელებს ეროვნული გამოცდებით მისაღები სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვას საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, ხოლო ყოველსემესტრულად - მობილობითა და ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვას.

2. საბაკალავრო/ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას, თავისუფალი ადგილების დასადგენად, გამოიყენება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეგულაციები, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას და დამამთავრებელ სტუდენტთა რაოდენობას.
3. სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის დაგეგმვა ხდება სტუდენტთა ზღვრული კონტინგენტის ფარგლებში და ეყრდნობა შემდეგ სტატისტიკურ მონაცემებს:
   ა) ბოლო 3 წლის მიხედვით:
      - XII კლასელების რაოდენობა;
      - რამდენმა მოიპოვა სტუდენტის სტატუსი;
      - კსუ-ში რამდენი ჩაირიცხა;
      - საქართველოში ჩარიცხული აბიტურიენტების რამდენი პროცენტი ჩაირიცხა კსუ-ში;
   - კონკრეტულ სპეციალობაზე იზრდება თუ მცირდება მოთხოვნა (საქართველოში);
   - კონკრეტულ სპეციალობაზე იზრდება თუ მცირდება მოთხოვნა უნივერსიტეტში;
   - პირველ სამ პრიორიტეტად რამდენმა მიუთითა უნივერსიტეტი (წლების და სპეციალობების მიხედვით);

   ბ) <u>ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები;</u>
4. მედიცინის ფაკულტეტის ერთსაფეხურიან პროგრამებზე მისაღები სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას ვითვალისწინებთ ლაბორატორიების, პრაქტიკული მეცადინეობის კაბინეტებისა და უნივერსიტეტის კონტრაქტორ კლინიკებში სტუდენტთა გამტარუნარიანობას.
5. საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებული ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით ახალმა ჯგუფებმა არ უნდა შექმნან სააუდიტორიო რესურსის პრობლემა. შესაბამისად ფაკულტეტის სარგებლობაში არსებული აუდიტორიების რაოდენობა არ უნდა იყოს ფაკულტეტზე არსებული ჯგუფების ნახევარზე ნაკლები;
6. უნივერსიტეტში ჯგუფების სიდიდის დაგეგმვა ხდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:
   - მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამაზე კლინიკურ დისციპლინებში დაგეგმვა ხდება - 10-12 კაციანი ჯგუფის;
   - სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე - 10-15 კაციანი ჯგუფის;
   - ხოლო ყველა სხვა პროგრამაზე 25-40 კაციანი ჯგუფის საბაზისო და თეორიულ დისციპლინებში.
7. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესში ვითვალისწინებთ:
   ა) შიდასაუნივერსიტეტო წესით დადგენილი აკადემიური პერსონალის მხრიდან სტუდენტების სამაგისტრო/სადოქტორო თემის ხელმძღვანელობის შესაძლებლობას;
   ბ) კვლევისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილ რესურსებს.
8. უცხოენოვან პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრისას, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებისა, უნივერსიტეტი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი უცხოენოვანი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობას;

მუხლი 3. დასკვნითი დებულებები

1. აღნიშნული წესის დამტკიცებით ძალადაკარგულად გამოცხადდა კანცლერის 2018 წლის 1 მაისის #01-55 ბრძანებით დამტკიცებული „სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის დაგეგმვისა და სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“.
2. აღნიშნულ წესში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება კანცლერის ბრძანებით.

დანართი

დანართი სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის წესის შესაბამისად უნივერსიტეტში სტუდენტთა მაქსიმალური ტევადობისა და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის შესახებ

სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გამოთვლა დღევანდელი მდგომარეობით

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გამოთვლის მეთოდოლოგიისა და ფორმულების გათვალისწინებით, სტუდენტთა შესაძლო ზღვრული რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:

1. უნივერსიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული სასწავლო და დამხმარე ფართის საერთო რაოდენობა:
   ფორმულა: **სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ≤ (F/4)*2 = F/2.**
   (30793 /4) x 2 ≈ 15396;

2. აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
   ფორმულა: **<u>სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ≤ (X×50)</u>**
   (175×50) = 8750

3. აუდიტორიებში დასაჯდომი ადგილების რაოდენობა:
   ფორმულა: **<u>სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ≤ (S × 2)</u>**
   <u>(4103 * 2) = 8206</u>

მიღებულ შედეგებს შორის უმცირესია უნივერსიტეტის აუდიტორიებში დასაჯდომი ადგილების საერთო რაოდენობის მიხედვით გამოთვლილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - **8206.**

დღევანდელი მდგომარეობით უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული ოდენობა შეადგენს 7400-ს, თუმცა ზემოთ აღნიშნული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით შესაძლებელია **8206** სტუდენტის სერვისით უზრუნველყოფა.

სამიზნე ნიშნულები საფეხურების მიხედვით

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (7400 სტუდენტი) გათვალისწინებით, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სტუდენტთა კონტინგენტის სამიზნე ნიშნულებია:

ა) ქართულენოვან საბაკალავრო და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტიგენტი არაუმეტეს 3700 სტუდენტისა;

ბ) ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კონტიგენტი არაუმეტეს 2500 სტუდენტისა;

გ) ქართულენოვან სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტიგენტი არაუმეტეს 1200 სტუდენტისა.